შაბათი, 3 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 242

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარეშე—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და ფოთხრობები. ზეპირ-ზეპირ ლობით პასუხისათვის საჭიროა სატელეფონო მარკები. პირადად ადრესატებს შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეშე ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ფასდება 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

მოკლე ხანში გამოვა № 1 სამეცნიერო-სალიტერატურო და პედაგოგიურ ჟურნალისა, სახელწოდებით

## „განათლება“

ჟურნალში დაიბეჭდება შემდეგი შინაარსის წერილები:

მთავრობის განკარგულებანი; სტატიები, შენიშვნები და რეფერატები სწავლა-განათლების შესახებ, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე; ორიგინალური და ნათარგმნი სტატიები სამეცნიერო პოპულიარულ ხასიათისა პედაგოგიიდან, პსიხოლოგიიდან, სასკოლო ჰიგიენიდან, სანიტარიიდან, ბუნების-მეტყველებიდან და საზოგადო მეცნიერებიდან; სამეცნიერო პოპულიარული ლექსები სურათებით სახალხო კითხვებისა და სახალხო უნივერსიტეტებისათვის; სამავალითო გაკვეთილები დასაწყის და საშუალო სკოლების სასწავლო საგნებიდან; პროგრამების შემუშავება ყველა ტიპის სკოლებისათვის. პედაგოგიურ იდეიების განვითარება საქართველოში, რუსეთში და საზღვარ-გარეთ; მნიშვნელობა მასწავლებელთა კავშირისა საზოგადოდ და განხილვა არსებულ კავშირებისა და მასწავლებელთა საზოგადოების წესდებებისა; სახალხო თეატრი და ბიბლიოთეკები; გამოცემა და გავრცელება სახალხო წიგნებისა; შინაური და უცხოეთის ქრონიკა; სიტყვა-კაზმული მწერლობა: მოთხრობები, ლექსები, ბიოგრაფიები; პუბლიცისტიკა, კორესპონდენციები, ბეჭდვითი სიტყვის მიმოხილვა, სამეცნიერო მიმოხილვა; კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, განცხადება.

ხელის მოწერათათვის წლიური ფასი 5 მანეთი, ნახევარის წლით 3 მან., სამის თვით 1 მ. 60 კ., საზღვარ-გარეთ 7 მანეთი.

წერილების ადრესი: ქართულ გიმნაზია, ან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

(5—4) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

იბეჭდება და ნოემბრის დამლევს ვამოვა

## დროების კალენდარი

**დამდეგი 1908 წლისათვის.**

კალენდარი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება: **სხვალენდრო ცნობები, რუსეთის იმპერატორების გვარეულობა და მათი ქონება, საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი, ასტრონომიული ცნობები, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინისგზის ცნობები, უცხოელის ,სასუმწიფოების ცნობები, პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, სტატისტიკური ცნობები, იურიდიული ცნობები, საქმიო და სამეურნეო ცნობები, შესანიშნავი ამბები 1905—1907 წ. მოზდარი და მრავალი სხვა ცნობები.**

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

ადრესი: ტფილისი, „იდეალის“ სტამბა „**დროების კალენდრის**“ გამომცემელს.

ქ ა ხ უ რ ი ღ ვ ი ნ ი თ ვ ა ჭ რ ო ბ ა

## „ხ ი რ ს ა“

ახლად მივიღეთ დიდ ძალი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

ტფილისში. (50—262—19)

ელექტრონის და რენტგენის

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—ნ.—35)

ექიმი ქალი

**ს. ზ. მირზოევისა**

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით $1^1/_2$—$2^1/_2$ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—16)

ექიმი

**ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი

**ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ა ტ ე ნ ი ა ნ ც ი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუროს პირდაპირ. (50—385—8)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

**ე. დ. ნ ა ს ა რ ა ძ ე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარაძის ბინაზე. (346)

ექიმი

**ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—7)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **ბროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—1)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს ვერა ოლდას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (30—345—03)

**დოქტორი მედიცინისა**

**გ. გ. გ უ რ გ ე ნ ო ვ ი**

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გბდბვიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო სახ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—19)

ცნობილი

**ქალთა სამკერვალო**

„SALON MODES“

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 **განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალისტანისამოსს,** იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

**გამგედ სამკერვალოისა არიან:**

უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—ნ.—25)

კბილის ექიმი

**ნ ი ნ ო ბ ა ც ხ ი ლ ა ძ ე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—215)

სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

**იანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 2—3 საათამდე.

**ერმოლენკო**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვიჩი**—ქირურგ. ყოველ დღე 1—12 ს.

**ბაბიანოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ბოდოვსკი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—1 ს.

**გორადეკიჩი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ინაეკი**—ქალთა ავად. დროებით წავიდა.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნეფზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**კორობეინიკოვისა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—1 ს.

**პავარსკი** — | **ჩუდნოვსკი** — | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—53)

## ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲗ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

## ᲕᲔᲠᲐᲖᲔ

ქართულ გიმნაზიის გვერდით **იქიდება** მიწა, ზომით 92 ოთხ.-კუთ. საქ. მსურველთ ვთხოვ მიმართონ „ისრის“ რედაქციაში დილის 11—2 საათამდე, ხოლო 4—5 საათამდე შემდეგის ადრესით: Арагвинская ул., д. № 8.

(10—2)

ტფილისი, 3 ნოემბერი.

საზოგადოებრივი ურთიერთობანი ხელოვნურად შექმნილ მექანიურ მთლიანობას არ წარმოადგენენ, რომ ერთის დაკვრით აღკილებლად სულ ერთიან დაიშალნენ, დაირღვნენ და სამუდამოდ აღიგავონ პირისაგან მიწისა. პირიქით, საზოგადოებრივი წესწყობილება ურიცხვის შეუფარაღებელ თვალისთვის ხშირად უხილავის, მაგრამ მძაფრი ძაფებით არის შესისხლხორცებული ადამიანთა ცხოვრების ყველა პირობებთან, და ამიტომ ფაქტიური დამარხვა ძველის რეჟიმისა და აყვავება ახალის საზოგადოებრივობისა ყოველთვის ხანგრძლივი, ძნიმე და მეტად მტკივნეული პროცესსია. აზრი ყოველთვის წინ მიუძღვის ადამიანთა მოქმედებას, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპიალური კრიტიკა კი ჩვეულებრივი წინამორბედია საზოგადოებრივი ტრანსფორმაციისა. უმწვერვალესი, უფართოესი და უძლიერესი გამოხატულება საზოგადოებრივ კრიტიკისა, როდესაც ეს კრიტიკა სამოქმედო დირექტივის ხასიათს იღებს, არის რევოლიუცია. მაგრამ როგორც კრიტიკას ყოველთვის არ შეუძლიან თვალის დახამხამებაზე შესცვალოს ადამიანის მოქმედება, ისე რევოლიუცია ვერა ჰსპობს ყოველთვის ერთის დაკვრით ძველს რეჟიმს. ხშირად თუნდაც რევოლიუციამ გარეგნულად სრულიად უარჰყოს ძველი რეჟიმი, ეს უკანასკნელი ფარულად მაინც განაგრძობს თავის არსებობას და მხოლოდ მძიმე თანდათანობით უთმობს ადგილს ახალ საზოგადოებრივობის ფორმებს. თუ რევოლიუციამ ნათლად და გარკვევით აღნიშნა საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პრინციპი და ამ ტრანსფორმაციის გზა გაჰკაფა—ესეც მეტად დიდ-მნიშვნელოვანი საქმეა. საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ უეცრივ ვერ განახორციელა ლიბერალიზმის ახალ ფორმებში ცხოვრების ჩაძოყალიბება, მაგრამ იგი მაინც **დიდი** რევოლიუციაა და მისი სიდიადე ისე გარკვევით არაფრიდან არა სჩანს, როგორც იმ ფაქტიდან, რომ დიდებული საფრანგეთი დღესაც, ერთი საუკუნის შემდეგაც, ამ რევოლიუციისაგან ნაანდერძევ პრინციპების ხელმძღვანელობით აწარმოვებს თავის საზოგადოებრივ წესწყობილების გაუმჯობესებას.

ამიტომ, არც საკვირველია და არც სატირალი, რომ ის ძველი რეჟიმი, რომელიც 1905 წელს რუსეთმა საზოგადოებრივ კრიტიკის გამანადგურებელ ქარცეცხლში გაატარა და დაჰგმო, ჯერ კიდევ ცოცხალია და გამწარებული იბრძვის თავის არსებობის დასაცველად. ეს გამოცოცხლება ერთხელ თითქოს სამუდამოდ მოკლულის ძველის რეჟიმისა წინადვე აუცილებლად მოსალოდნელი იყო, მაგრამ ეს მოლოდინი არა ჩრდილავდა და ვერც დაჩრდილავდა იმ დიდებულ ისტორიულ ნასკვის მნიშვნელობას, რომელიც 1905 წელს გამოიკრა. მაშინვე ცხადი იყო, რომ ამიერიდან საზოგადოებრივ ტრანსფორმაციას რუსეთში ახალი მიმართულება ეძლევოდა, ახალი გზა უჩნდებოდა. მაშინვე ცხადი იყო, რომ ამ გზაზე ხანგრძლივი და მრისხანე წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ ძველი საზოგადოებრივობის ნაშთებს ახალ პრინციპისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელთა საბოლოო გამარჯვება კი მაინც უეჭველად იყო მიჩნეული, ვიდრე სულერთიან არ ამოშლებოდა რუსეთის ისტორიიდან 1905 წ. ხოლო რადგან ისტორიამ წარსულის და განვლილი გზის მნიშვნელობის გაქარწყლება არ იცის, ამიტომ საერთოდ არც წინად და არც ეხლა მოსალოდნელი არაა რუსეთის ჩარხის უკუღმა ატრიალება და ძველი რეჟიმის რესტავრაცია.

გარეგნობით რეაქციის გამარჯვება საზოგადოებრივი ცხოვრების რომელსამე ან რამდენსამე ასპარეზზე კიდევ სრულიად იმას არა ჰნიშნავს, რომ ძველი რეჟიმის ნამდვილი რესტავრაცია შესაძლებელი იყოს. ასეთი რესტავრაციისთვის შეუძლებელი რამ ამბავი უნდა მოხდეს: ისტორია უკუღმა უნდა შეტრიალდეს. ეს შეუძლებლობა ძველი რეჟიმის რესტავრაციისა საუკეთესოდ მტკიცდება რეაქციონერების ეხლანდელ გამარჯვებით. თითქოს რეაქციონერებს წინ არაფერი უდგათ თავის გულის წადილის ასასრულებლად, თითქოს მათ ადვილად შეუძლიანთ ბიუროკრატიულ აბსლუტიზმის აღდგენა, მაგრამ ნამდვილად კი ამისი მოხდენა ვერ მოუხერხებიათ. მიზეზი?—მიზეზი ის ახალი მორალური ატმოსფერაა, რომელშიაც შესდგა ფეხი რუსეთმა 1905 წლის შემდეგ. საარჩევნო გამარჯვებით დამთვრალი რეაქციონერები ერთის მხრივ თითქოს არაფრის წინაშე და არაფრის გულისთვის თავის შეკავებას არა სცნობენ საჭიროდ, ხოლო მეორე მხრივ კი ვერ ჰპოვავენ ხელი შეახონ იმას, რაც განახლებულ რუსეთის დამახასიათებელ ნიშნობლივ თვისებას წარმოადგენს, ხალხის საკანონმდებლო უფლებას.

ძველ რეჟიმს იმდენი ძალა აღარა აქვს, რომ ძველებური ბატონობა აღადგინოს, მაგრამ არც ისე სუსტია, რომ ყველა პოზიციები უეცრად მიატოვოს და უბრძოლველად დაუთმოს ახალს რეჟიმს. აქედან წარმოსდგება ეხლანდელი ბრძოლა რეაქციისა და ოპოზიციისა, ბრძოლა, რომლის ობიექტიური დანიშნულება თანდათანი გამტკიცებაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში 1905 წლისაგან წამოყენებულ პრინციპებისა.

## სახელ. სათათბირო

—:—

პირველ ნოემბერს გაიხსნა მესამე სათათბირო. როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, სათათბირო დიდის ზარითა და ზეიმით გაუხსნიათ. ეს ზარი და ზეიმი შიგნით სათათბიროში იყო, გარედ-კი სიჩუმე სუფევდა. ამ დღისთვის პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ბრძანება გამოსცა აღკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაცია, ყრილობა, კრება და სხვა. ამიტომ ძალაქა გარეგნად ელ-ფერი არ უცვლია.

დეპუტატებმა სათათბიროს დარბაზში თავი მოიყარეს თერთმეტ საათზე. სათათბიროს გახსნამდე მიტროპოლიტმა ანტონიმ გადაიხადა პარაკლისი. მიტროპოლიტმა სიტყვით მიჰმართა დეპუტატებს და სთხოვა—ეცადეთ დაამშვიდოთ ჩვენი დატანჯული სამშობლო. პარაკლისის შემდეგ მომღერალთა გუნდმა სამჯერ შეასრულა ჰიმნი.

სათათბირო გახსნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგმა გოლუბევმა- გახსნას დაესწრნენ თითქმით ყველა მინისტრები. დეპუტატები ყველანი იყვნენ, გარდა უკიდურეს მემარცხენეებისა—ორმოც კაცამდე. მემარცხენეები მაშინ შევიდნენ მხოლოდ, როდესაც თავმჯდომარის არჩევას შეუდგნენ. გოლუბევის პირველ სიტყვებზევე სათათბირო ფეხზე წარმოდგა და „ურა“ დასძახა. „ურა“-თივე მიეგება იმის სიტყვების გათავებას. ამასთან ზოგიერთი მემარჯვენე დეპუტატები იძახოდნენ — გაუმაოჯოს ხელმწიფე იმპერატორსაო.

შემდეგ დეპუტატებმა ხელი მოაწერეს ფიცის ფურცელს და დაიწყო თავმჯდომარის არჩევნები. დიდმა უმრავლესობამ, სახელდობრ 371 ხმამ ბარათებით დაასახელა ოქტომბრისტების კანდიდატი ხომიაკოვი. დაასახელეს აგრეთვე გრაფი ბობრინსკი და ძველი თავმჯდომარე გოლოვინი (ერთის ხმით). კენჭი უყარეს მხოლოდ ხომიაკოვს, რომელსაც ამოუვიდა 371 თეთრი და 9 შავი. უკიდურესმა მემარცხენეებმა არც თავმჯდომარის არჩევაში მიიღეს მონაწილეობა. ოქტომბრისტები და მემარჯვენენი დიდის სიხარულით „ურასა“ და „ბრავოს“ ძახილით მიეგებნენ ხომიაკოვის არჩევას. ტაშის ცემას დასასრული არა ჰქონდა.

ხომიაკოვმა მადლობა გადაუხადა არჩევისათვის და კრება დახურა—ჯერ ხელმწიფეს წარვუგზავნეთ და მერე საქმეს მივყოფთ ხელსაო. კრება დაიხურა სამ საათზე.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲫᲒᲐᲙᲘ

—:—

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭომ 1 ნოემბერს განაგრძო ძორიგი კრება. საბჭომ თავმჯდომარის თავ. ჩერქეზიშვილის წინადადებით გადასწყვიტა, 6 ნოემბერს გაჰგზავნოს დეპუტაცია ეჩმიაძინში სომეხთა კათალიკოსის დაკრძალვაზე დასასწრებლად. დეპუტაციაში არჩეულნი იქმნენ: ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ხმოსნები ნ. ოსტროგორსკი და მ. ლუკეევიჩი. ვინც ხმოსნებიდან თავის სურვილით დაესწრება კათალიკოსის დასაფლავებას, ისინიც შეუერთდებიან დეპუტაციას. ქალაქის სამხედრო საკრებულოს წევრებად არჩეულ იქმნენ თამამშევი და ქანანოვი, ხოლო მათ კანდიდატებად არ. ახვაზაროვი და მინეევი. შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება პურის ნიხრის შეცვლის შესახებ. მეპურეებს განუცხადებიათ, ფქვილი მეტად გაძვირდა და თუ

კიდევ ნახევარი კაპეიკი არ მოუმატეთ, ცხობას თავი უნდა დავანებოთო. საბჭომ დაადგინა, ნიხრის შესახებ მოხსენების განხილვა გადასდოს 5 ნოემბრისათვის, რადგან ამ დროსათვის ბირჟაზე ფქვილის ფასების შესახებ ცნობებს გამომკვეთი კომისია წარმოგვიდგენსო. დასასრულ საბჭომ განიხილი განცხადება ნავთლუღის სადგურის მოხელეთა მუშებისა, ასე 150 კაცამდე, რომელნიც ითხოვენ ქალაქის მიწებს იჯარით. ამათ გადაუწყვეტიათ, როგორც ნაძალადევში, იჯარით აიღონ ქალაქის მიწები და სახლები ააგონ. საბჭომ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა სხვა დროსათვის გადასდო.

✦ **მატარებლის მსხვერპლი.** ამ დღეებში მატარებელმა ბალაჯარაში გასრისა 18 წლის ყმაწვილი ალექსანდრე ჯაოშვილი. განსვენებულმა მაისში გაათავა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სექტემბერში აქ ჩამოვიდა სემინარიის პირველ კლასში შესასვლელად. ეგზამენების დაჭერის შემდეგ სემინარიის მთავრობამ გამოუცხადა, პირველ კლასში შესასვლელად წლოვანება გიშლის—ორი თვით გადამეტებული ხარო. ამან ძალიან დაალონა სულით და გულით სწავლის მოსურნე ჯაოშვილი. თხოვნა მისცა ადგილობრივ სასულიერო მთავრობას. უთხრეს, სინოდში გაჰგზავნეო. სინოდმა ამ საქმის გარჩევა ისევ ეექსარხოსს მიანდო. ეექსარხოსმა კი სულ უარი გამოუცხადა ეხლა ძალიან დაგვიანებულიაო. სიღარიბისა გამო ჯაოშვილს არ შეეძლო სხვა სასწავლებელში შესვლა. ყველა ამის შემდეგ დაღონებულ-დაძმარებული ჯაოშვილი გაემგზავრა ბაკოში. არ ვიცით, რა იყო მიზეზი, მაგრამ გზაში-კი უბედურება შეემთხვა განსვენებულს.

✦ **საქმის გადადება.** 1 ნოემბრისთვის სამოსამართლო პალატაში განსაპილველად დანიშნული იყო საქმე ჩუბიიძისა და მაჭავარიანისა, რომელთაც ჰბრალდებათ თავ. გ. ამილახვრისა და მის მხებელთათვის ყუმბარის სროლა და მოკვლის განზრახვა. სასამართლოში არ გამოცხადდა თვით ამილახვარი. პალატამ ამ მიზეზით მესამედ გადასდო საქმე. ამასთანავე ამილახვარი 25 მანეთით დაჯარიმებულ იქმნა. პალატამ დაადგინა, შემდეგ სხდომისათვის პოლიციის საშუალებით მოიყვანოს ამილახვარი, თუ თითონ არ მოვიდაო.

✦ **სოფლის დაჯარიმება.** ტფ. გ-გუბერნატორის განკარგულებით, ხუთას მანეთით დააჯარიმეს თელავის მაზრის სოფ. საბუეს მცხოვრებნი. სოფელს აბრალებენ ყაჩაღების, საეჭვო კაცების და აგიტატორების დაფარვას.

✦ **სასამართლოში.** ექვს ნოემბრისთვის ტფ. ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე ზაქათალის ოლქის უფროსად ნამყოფის, ხოლო დღეს ნამესტნიკის საგანგებო საქმეთა მოხელის ანდრია პავლოვისა. პავლოვს უჩივის ჯარის ექიმად ნამყოფი კონსტ. ტურიაშვილი და ბრალსა სდებს სასჯელთა დებულების მე-1535 მუხლის ძალით.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** ხვალ, 11 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრ. ბალი) ბოტანიკის მაგისტრი ა. ვ. ფომინი წაიკითხავს პირველ ლექციას ბოტანიკაზე.

✦ **სასულიერო მთავრობის ახალი განკარგულება.** აგერ მეორე წელიწადია, რაც ტფ. საეპარქიო ქალთა სასწავლებელში სამოქალაქო ისტორიას ასწავლის ბ-ნი გორგაძე, რომელსაც გათავებული აქვს სასულიერო აკადემიის საისტორიო ნაწილი და რომელიც ადგილობრივს რუსულსა და ქართულს პრესაში ცნობილია თავის საისტორიო წერილებით. ამ ორიოდე კვირის წინად აღნიშნულ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ ბ-ნი გორგაძე წარუდგინა ეექსარხოსს ისტორიის ახლად შემატებულ გაკვეთილების მასწავლებლობის თანამდებობაზე დასამტკიცებლად. მაგრამ ეექსარხოსს საბჭოს კანდიტატის, გორგაძისთვის, არა თუ გაკვეთილები არ მიუცია, ისტორიის ძველი გაკვეთილებიც ჩამოურთმევია და ისტორიის მასწავლებლად, საბჭოს სურვილის წინააღმდეგ, დაუნიშნავს ბ-ნი კოჩიევი, რომელსაც გათავებული ჰქონია სამისიონერო განყოფილება აკადემიისა და სამოქ. ისტორია არც უსწავლია და არც დღემდე ამ საგნის მასწავლებლად ყოფილა სადმე. საინტერესოა ვიცოდეთ, რა გზას დაადგება საეპარქიო სასწ. საბჭოს ამის შემდეგ.

✦ **ტფ ვენერ. გუბერნატორის განკარგულებანი** სამხედრო საოლქო სამართალში მისცეს თიანეთის მაზრის სოფ. საყდრიონის მცხოვრებნი ვანო ძულიაშვილი და გიორგი გელდაშვილი, გორის მაზრის სოფ. ძეგვის მცხოვრებნი დიმიტრი მექელაძე, ბაგრატ ფირანაშვილი და ვასილ სუხიშვილი და სოფ. მოხისის მცხოვრები ნიკოლოზ კოშკაძე. ამათ აბრალებენ ებრაელთა ელიშაკოვების დუქნის გაძარცვას 12 აგვისტოს. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ სოლ. პაშუს და ს. ტერ-გრიგორიანცს. დააჯარიმეს: 100 მანეთით ვაჭარი კ. ანანოვი და 15 მანეთით შესტოპალოვისა.

✦ **შანტაჟისტები** ჩვენმა რედაქციამ შემდეგი წერილი მიიღო: „ოქვენ გაზეთში დაიბეჭდა წერილი ეპისკოპოს ლეონიდისა. როგორც ამ წერილიდანა ! ჩანს, ვილაცეებს ს.-რევოლიუციონერთა პარტიის ტფ. ორგანიზაციის სახელით ეპისკოპოზისთვის მუქარის წერილი მიუგზავნიათ —ერთი მღვდელი გადაეყენეო. ს. რ. პარტიის ტფილისის ორგანიზაცია აცხადებს, რომ ხსენებულ წერილთან მას საერთო არა აქვს-რა.“

✦ **რედაქტორის საქმე.** 1 ნოემბრს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სომხურ გაზეთის „არაჩის“ რედაქტორის ავეტიქ სააკოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მთავრობის სწინააღმდეგო შინაარსის წერილის მოთავსება. ოლქის სასამართლომ საკოვს ოთხი თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. ბრალდებულმა განაჩენი პალატაში განასაჩივრა.

✦ **ახალი ეპისკოპოსი,** ხვალ, 4 ნოემბერს, ალავერდის ეპისკოპოსად უნდა აკურთხონ ნოვოჩერკასკის სემინარიის რექტორად ნამყოფი არქიმ. დავითი (ერის კაცობაში ევთიმე ოქროპირის ძე კაპანაძე). კაპანაძემ სწავლა მიიღო ჯერ ტფ. სასულიერო სემინარიაში, შემდეგ 1899 წელს გათავა ყაზანის სასულიერო აკადემია. ამავე წელს დანიშნეს ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ინსპექტორად, მაგრამ ერთის წლის შემდეგ ამ თანამდებობიდან დაითხოვეს და დანიშნეს თელავის სასულიერო სასწ. ქართულის ენის მასწავლებლად, მერე სამეგრელოს სასულ. სასწ. ზედამხედველის თანაშემწედ, იქიდან გადაიყვანეს პერმის გუბერნიაში სოლიკამსკის სას. სასწ. ზედამხედველად, მერე პოლოცკის სას. სასწ. ზედამხედველად. 1905 წელს დანიშნეს ვიტებსკის სემინარიის რექტორად და არქიმანდრიტობა მისცეს. ხოლო 1906 წ. გადაიყვანეს ნოვოჩერკასკის სემინარიის რექტორად.

✦ **ახალი წიგნი** ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი, შედგენილი ალექსი ჭიჭინაძის მიერ—„მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველ დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით“. ფასი ერთი აბაზი.

✦ **დაპატიმრება.** 1 ნოებერს პოლიციამ დააპატიმრა ბორის მოქალაქე ნიკოლოზ ნასყიდოვი და გიორგი გიუნაშვილი, რომლებზედაც უბნის ზედამხედველის კადიკოვის მოკვლაში ექვი მიიტანეს. ბრალდებულნი მეტეხის ციხეში ჩაამწყვდიეს.

✦ **ტფ. ქალაქის გამგეობის წყლის მიდის განყოფილებამ წინადადება მისცა საბალნო სასწავლებელს, დაუფინანსებლივ წარუდგინოს ქალაქის კასას წყლის ფული. თუ სამ დღეში არ შემოიტანეთ ფული, წყლის მიდს დაგიხურავთო. საკვირველია ბმერთმანი, სამი დღე კი არა, სამ წელიწადზე მეტია, ნელოიმკები ითვლება წყლის გადასახადისა, მაკალ., სამხედრო უწყებაზე (56,494 მან.), მაგრამ ხმას არავინ იღებს.**

✦ **გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ ნამესტნიკს წარუდგინა დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება** [illegible] ქალაქის **თავად არჩევის შესახებ.**

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის აფთიაქის მახლობლად სამჯერ გავარდა ზედიზედ რევოლვერი. ხალხი აქეთ-იქით მიიფანტა იმ შიშით, რომ ჯარი მოვაო. აღმოჩნდა, რომ, რევოლვერი ესროლათ პოლიციის დარაჯისთვის, რომელიც იქვე მომკვდარიყო. მკვლელები ვერ აღმოაჩინეს.

✦ გაფიცვის მოლოდინში 31 ოქტომბერს (ს.-დემოკრატ დეპუტატების გასამართლების გამო) ადმინისტრაციის მიერ არა ჩვეულებრივი ზომები იქნა მიღებული. ქუჩებში გაძლიერებული პატრულები დადიოდნენ. აქა-იქ ყაზახები იდგნენ. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

# პრესა

ამას წინად ჩვენ ვოდნიშნეთ, ერთი არაკაკადრისი საკითხი ქონ. ბიბინისა, რომელმაც „ევერიაში“ დაბეჭდილი სტატიები „ხან ასე და ხან ისე“ ხელმეორედ დაბეჭდა „ჩვენ გზაში“. ჩვენმა შენიშვნამ ქნა აზიანი ისე გააბრაზა, რომ გუშინდელ „წყაროში“ მან ჩვენს მისამართს „სისკი“ უწოდა. იგი გაკაპასებული გაიძახის:

1) სანამ ფედერალისტები ცოცხლები მყვანან და ყოველ დღე მაცინებენ, საფანელი რაღაურ შემომაკლდება?

2) „ქანქარი“ მე თავის დღეში არა მქონია (?), არც მაქვს და, რაცა თვალი წამძღვეს ფედერალისტკა გავხდები (ვგონებ, ერთ-ორ გრაშს ჩემთვისაც არ დაიშურებენ ილიას სახელით მოგროვილ მაურებიდან).

აზიანს თავი მოაქვს ფედერალისტების სიძულვილით და პირდაპირ აცხადებს, რომ ის სამწერლო მასალას ს. ფედ. პარტიის ცხოვრებაში ეძებს. განმარტება ამოწერილ სტრიქონებისა საჭირო არ არის, ვინაიდან ამ ათიოდე სტრიქონიდანაც ცხადად სჩანს ს

ფელეტონში ნამდვილი ან ჩამატებული სულ ბევრი, ბევრი—ათი სტრიქონია. ამას ვისთანაც და როდესაც სურს დაუმტკიცებთ ქ-ნ აზიანს.

ეს ერთი აშკარა სიყალბე და სიცრუე ქ-ნ აზიანისა მეორე კიდევ შემდეგი გახლავთ იგი სწერს:

„თქვენმა თანამშრომელმა ს. ფი—ლავამ რადათ იკადრა და „ნიშადურის“ პირველ ნომერში რათ გამოსჭიმა თავის „ტარტაროზი“ თუ „ჯოჯოხეთი«, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ «ცნობის ფურცელში» იყო მოთავსებული? აღიბათ ისტორიული მნიშვნელობა თუ ჰქონდა.

მოვახსენებთ ქ-ნ აზიანს, რომ „ნიშადურში“ დაიბეჭდა „ტარტაროზის ავადმყოფობა“, რომელიც არასოდეს არსად არა ყოფილა დაბეჭდილი. „ცნ. ფურცელ“-ში დაიბეჭდა (1905 წ 9 იან.) სცენები „ჯოჯოხეთი“, რომლის მხოლოდ იდეიურ გაგრძელებას წარმოადგენს „ტარტაროზის ავადმყოფობა“. ასეთი საქმე ემართება ხოლმე მტყუანს, როდესაც გაწყმიტდება...

ყველა ამას გარდა „ტარტაროზის ავადმყოფობა“-ს ქვეშ მოწერილი ჰქონდა ს—ვა და ვინ მისცა ქ-ნ აზიანს ნება, რომ აცხადებს: ეს სცენები ს. ფი—ლავამ დასწერაო?

## ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

—:—

**სამეგრელო** (სენაკის მაზრა). დაწერას და ბატიმრებას ბოდო არ ედება; კახშირდა მოდიტიკურ და სხვა ნიადაგზე მკვლელობაც. ყოველ დღე, ყველა კუთხიდან გესმის—მოჭკდეს, დაწვეს, გაცარცვეს და სხვა. ისედაც რეაქციისაკენ ათას ნაირად შებორკილ-დაბეზავებულს კლეკოტობას კასაქანს ადარ აძლევენ.

ამ დღეებში სოფელ გულვისკარში მოუკლავთ შემაშულის კ. დიდის მოურავი იაკორა ხუნდაძე. 15 ოქტომბერს სოფელ კვათანაში დღისით მოუკლავთ მუშაობის დროს, კლეკი ეფრემ ცომაია! ამავე დღეს ს. ხაშში სამ შეიარადებულ უცნობს მოუტანია გზაზე მიმავალი ჩაკუ ცომაია.

ამას წინად სუჯუნის ბოქაულ ბოკუჩავასთვისთვის უცნობებისთ სირიაჩქონიდან, ვითომ იქ იმალებიან ამას წინად ქუთაისის ციხიდან კაქტეულნი შმაკი ქობალავა და მისი ამხანაგები. ბოქაული იმ წამსვე თავის ვიარო ზარი და მოთქმა, ბედნიერების წუთების მაგიერ—ტანჯვა. აი, რა მივანიჭეთ ჩვენს თავს, მით რომ ჩავიდინეთ საარაკო საზიზღრობა—სიცოცხლე მოვუსპეთ დიდებულ მგოსანს, რომლის დაბადების 70 წლისა და ძლევა-მოსილ მოღვაწეობის ნახევარ საუკუნის იუბილეს ვიდღესასწაულებდით, ენდა გვედღესასწაულნა, თუ რომ სულ მოკლეობა არ ჩაგვედინა და ორი თვით კიდევ გადაგვედო ჩვენი შემარცხვენელი აქტი.

სწორედ სამოცდა ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც ქართველ ერის საიდუმლო ძალამ, საუკუნეების იდუმალმა სულიერმა შრომამ, რამდენიმე მოდგმის შემონახულმა სულის საუნჯემ ერთი დიდი კაცი შეჰქმნა—დიდი კაცი, რომელიც ერის სულის საუკეთესო გამომხატველი იყო, იმის სულის კვეთების სალარო იყო, გენიოსობის განხორციელება იყო. სწორედ ნახევარმა საუკუნემ გაიარა მას შემდეგ, რაც „განდეგილის“ ავტორმა პირველად აიღო კალამი ხელში და მხნედ, უშიშრად გამოვიდა ჩვენის ცხოვრების უმსგავსოების შესაბრძოლებლად. ნიშანი დიადობისა ზედ შუბლზედ ეტჩნეოდა ლიტერატურის ახალგაზდა გმირს, იგი ბედსაც კი უშიშრად იწვევდა ხმალში და თუ რამე აშინებდა, მარტო და მხოლოდ თავისი არაფრობა. კარგადა გრძნობდა ახალგაზდა პოეტი, რაც მოელოდა, იცოდა ის საზოგადოება, რომელშიაც ბედმა არგუნა ამდენის ხნის შრომა, იცოდა რა სიმწარე მოელოდა ამ საზოგადოებისაგან და როგორც წინასწარმეტყველი, წინასწარ ხედავდა თავის ბედს, იმ თავითვე იმას ნატრულობდა, რომ ციურის სიყვარულით ანთებოდა გული, „რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულის ლახვარი ჰკრან, სთხოვდეს: „შეუნდე—არ იციან, ღმერთო, რას იქმან“. იმ თავითვე ჰხედავდა მგოსანი თავის სიმარტოვეს, თავისს სულიერს ობლობას, იმ ობლობას, რომელმაც ასეთის შხამით აღვსილი სიტყვები წარმოათქმევინა პოეტს:

მაგრამ, მაშულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ამადებით გამგზავრებულა, მაგრამ სიმედო
ვერაფერი ადმოუჩენია. მიუხედავად ამისა,
ხუთი კაცი დაუჭერია და სენაკის ციხეში
ჩაუსვამს ამ დღეებში ადმინისტრაციამ
ორენბურგის გუბერნიაში კადასახლება გა-
მოუცხადა, სოფ. გეჯეთის მცხოვრებთ, სე-
ნაკის ციხეში მოოფთ, შემდეგ ბირებს:
აქვსენტი გეგეჭკორის, ნოე კილაბერიას, და-
ზარე გვიდავას, დიმიტრი ოზიგავას, სამ-
სონ გულუას, ძიკი ოზიკავას, დავრენტი
კუბრეიშვილს, ბავდე გეგეჭკორის და ირაკლი
ოზიკავას.

**უცნობი.**

---

**სოფ. მეტეხი** (გორის მაზრა). ვისაც რა სტკივა, სულ ამაზე ფიქრობს. ჩვენც მოსადოდნელი შემეშალა თავიდან არა გვშორდება, არა ერთხელ გვითქვამს, რომ მოუსვდობამ და დიდმა კვალვამ სულ ცარიელზე დაგვტოვა. რამდენჯერმე ავწერეთ ჩვენი კაჭირვება, მაგრამ შვდა არსაიდან არის მოსადოდნელი. ბირიქით, როგორც „ისარი“ გადმოგვცემდა, რამდენიმე ათასი ამ ფუდიდან, რომელიც ტფილისის გუბერნიის დამშეუდთათვის იყო გადადებული, ბეტერბურგში გაუგზავნიათ და შეუთვლიათ, აქ ეს ფული საჭირო არ არის, რადგან დამშეუდი არავინ არისო. ამ ამბავმა დიდად შეაწუხა ხალხი. ამისთანა ბატონ ბატრონების ხელში ერთად ერთი იმედი-და დაკრჩენია—მიგმართოთ თხოვნით კერძო ბირებს და დაწესებულებებს, დაგეხმარონ როგორმე. დაგიჯერეთ, რომ ავარებელი ხალხი ულუმაშურად დარჩენილია. ობლებს მაინც უნდა გაეწიოთ დახმარება. არის რამდენიმე კომლი, რომელთაც დღემდე თვით სოფელი უწევდა დახმარებას, ახლა კი სოფელსაც ადარ შეუძლიან. აი, ეს კლეხები: მიხა ენუქაძის ქვრივი რამდენიმე წვრილი შვილით, ადა ასმაითარაშვილი, მიხა მდებრიშვილი, დათიკო კორკოტაშვილი, კიორკი მდებრიშვილი, ვანო შარიფაშვილი, მიტა შარიფაშვილი, ნიკოლა გუგულაშვილის ქვრივი, კიკა მაზმიშვილი, კიორკი შარიფაშვილი, მიხა ოთიაშვილი, ივანე დადიაშვილის ქვრივი, თედო გუგულაშვილის ქვრივი, კიორკი ასმაითარაშვილის ქვრივი, ადექსა ასლამაზაშვილი, მიხა დარჩიაშვილი, მიხა დათაშვილი, კიორკი კოდერაშვილი, აბრამა ოთიაშვილი, მიხა ბერძნიშვილი, ბავდე გერაძე, ტატა გერაძე, სიკა ოთიაშვილი, სანდრო სუთიაშვილი, ბავდე გერაძე, ვანე კადატოზიშვილი, დათა კადატოზიშვილი, სოფ ქოსაშვილის ქვრივი, კაბო ქოსაშვილის ქვრივი, სოსა გუგუდაშვილის ქვრივი. ამ ზემო ჩამოთვლილთ იოტის ტოლა საზრდოც კი არ მოეთოვებათ. ქართველებს ეს დღე ჯერ არ დასდგომია. თხოვნა სიკვდილად მიაჩნიათ. აქაური მცხოვრები სიკვდილს ირჩევს და კარი კარს კი ვერ ითხოვს.

**აქაური.**

---

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 28 ოქტომბერს ქუთაისის დასმა წარმოადგინა შალომ ამის დრამა „შურის ძიების დმერთი“, თარგმნილი გრ. აბაკელიას მიერ. ამ საზოგნმი ეს მესამე პიესა იდგმება ბ-ნ აბაკელიას მიერ თარგმნილი და არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ თარგმანის ენა ძეტად სუსტია. სცენიდან ხშირად ისეთი რამ ესმის კაცს, რომ ვერც თავს გაუგებს და ვერც ბოლოს. როგორც ეტყობა, ბ-ნ აბაკელიას დიდი სურვილი აქვს პიესების თარგმნისა, მაგრამ თარგმანის ხარისხი სულ არ აინტერესებს. ისა სჯობია ერთი ან ორი პიესა სთარგმნოს დაკვირვებით, ვიდრე 4 და 5 უგვანოდ. რეჟისორა ეტყობა სცდილობს ენის შესწორებას, მაგრამ ახლად თარგმნა სჯობია სულ უსვირეოს შესწორებას.

შალომ ამის დრამა ხელოვნური ნაწარმოებია; ერთ ყალბ ადგილს ვერა ნახავთ აქ. სურათები, ზნე-დაცემულ ქალთა ცხოვრებიდან ერთსა და იმავე დროს ზიზღსა და სიბრალულს იწვევს გაუბედურებულ ქმნილებათა მიმართ. სინანულს მიცემული იანკელი მართლა საბრალო სანახავია განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის უმანკო ქალიშვილის ბედ-იდბალზე ფიქრობს. უკუდმართი ცხოვრება ზნე-დაცემულ ქმნილებათა შალომ ამის დრამაში არა ჩვეულებრივი სიცხადით არის გამოხატული.

პიესის ადსრულებაზე რა მეთქმის იმის მეტი, რაც არა ერთხელ გამიმეორებია ჩემს წერილებში. ქუთაისის დასი სასწაულ-მოქმედობს. იმ პატარა ძალებით, რომელიც ხელთა აქვს რეჟისორს, იგი ახერხებს სრულ ანსამბლის დაცვას რთულ პიესების წარმოდგენის დროს. შალომ ამის დრამის წარმოდგენის დროს ილიუზია შეთანხმებულ თამაშისა და სცენის შესაფერი მოწყობილობით არც ერთხელ არ დარდვეულა. რეჟისორს წვრილმანებიც კი მიედო მხედველობაში და პიესამ თითქმის უნაკლულოდ ჩაიარა.

ადმსრულებელთა მორის პირველი ადგილი ეჭირა ბ-ნ ზარდალიშვილს; მან სარეზკიპოს მუდმივ სტუმრის როლი უნაკლულოდ შეასრულა და ეს არც გასაკვირველია, რადგან ამ გვარი როლები, ჩვენის აზრით, მას ამბლუას შეადგენს. იანკელის

---

ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო.

მაგრამ მაინც ვერა აშინებდა რა მას. დიდი ჰქონდა საკუთარი სიმხნე და სიყვარული საქმისა და ამ სიმხნითა და საქმის სიყვარულით აღჭურვილი შეუდგა ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესობას. დიადი გრძნობითა და აზრით გატაცებული შეებრძოლა ჩვენის საზოგადოების მაშინდელ მამამთავრებს, დაამარცხა ისინი, საზოგადოება სრულიად ახალ გზაზე დაიყენა, მიძინებულს ერს იდეალი დაუსახა, ყრუ ტყეში შარა გაუკაფა.

თუ კარგად გაითვალისწინებთ ჩვენის ქვეყნის მაშინდელს მდგომარეობას, როცა ერს თითქმის აღარავითარი იდეალი აღარ ებადა, აღარავითარი მისწრაფება არა ჰქონდა, როცა ყოველივე ამამაღლებელი გრძნობა ჩამქრალი იყო, როცა არ არსებობდა ჟურნალი და გაზეთი და თუ არსებობდა, მკითხველი თითებზედ დაითვლებოდა, როცა უმაღლეს სწავლა დამთავრებული ერთი არ იყო ჩვენში—თუ ყოველივე ამას კარგად გაითვალისწინებთ, წარმოიდგენთ—რა ძნელი საქმის აღსრულება ჰხვდა წილად მგოსანს და რა დიდი გმირობა იყო საჭირო, რომ ასეთი როლი ეკისრა კაცს. დიდის ნიჭის პატრონს, არაჩვეულებრივ სიმხნითა და ენერგიით აღჭურვილს, მას მტკიცე რწმენა ჰქონდა თავის თავისა, ნაკისრების საქმის სამართლიანობისა და აუცილებლობისა, დაუშრეტელი წყურვილი სამშობლოს სამსახურისა და ამ სურვილისაგან აღგზნებულმა ენერგიულმა მეცადინეობამ მიაგნებინა მას ის „სხვა ვარსკვლავი“, რომელზედაც ნიადაგ გვითითებდა. ამ იარაღით შეიარაღებული გმირი, მეთაური მთელის თაობისა, გამოვიდა ბრძოლის ველზედ და მედგრად და მხნედ გამოუცხადა ომი უშიშარ გამოცდილ მეომრებს, სიმდიდრითა და მადალ ხარისხოვნებით ცნობილებს, და მათგან ხაფანგებ ქვეშე დამწყვდეულმა მათი ადგილი დაიკავა და საზოგადოებაც უკან გაიყოლია, ახალის კეთილის მიმავლისაკენ. მოღვაწეობას წინ წაუმძღვარა ახალი მრწამსი მეთაურმა. იგი აღიარებდა „ღმერთსა უქმთა წამწყმედსა, ტვირთ მძიმეთ და მაშვრალთა მხსნელსა, ღმერთსა ტანჯულთა, ღმერთსა ჩაგრულთა, ძლიერთ დამბმელსა, უძლურთ ამხსნელსა, ორგულობისა, ორპირობისა ძირსა დამცემსა და დამთრგუნველსა, ფარისეველთა, სადუკეველთა გამკიცხველსა—გამდევნელსა“. ასეთის წმინდა მისწრაფებისა, ასეთის დიადის იდეალის მექონი მგოსანი ჩვენ ავაზაკთა თანა შევრაცხეთ და ვითა ყაჩაღს, შარა გზაზედ თავი გავუტეხეთ.

ილია ჭავჭავაძე დიდ ბუნებოვანი არსება იყო, თანაც ისეთ დროში იყო დაბადებული, რომ არ შეეძლო ერის ტანჯვა-ვაებისათვის უდიდესი ყურადღება არ მიექცია. მგოსანმა კარგად იცოდა, რომ მონობა პოლიტიკური, სიცოცხლეს უსპობდა მას სანეტარო სამშობლოს და განა შეიძლებოდა იმის გულის სიმებს სამგლოვიარო ხმა არ გამოეცა ამის გამო? განა შეიძლებოდა პოეტის გული არ აღეშფოთებინა და სიცოცხლე არ მოეშხამა იმას, რომ დაობლებულ მამულს ეკვიცი და უგუნური დაპატრონებოდა, და გონება აბნეული სატრფოც სხვას ასმევდა ნექტარს ნეტარებისას, სხვას თავს ევლებოდა, შეჰხაროდა, სხვას ეტრფოდა? წარმოსადგენია განა, რომ ჩვენის ცხოვრების გახრწნილების შემკნებელს „აჩრდილი“ არ დაეწერა, სადაც საოცარის სიმკაცრითა და სასტიკის სინამდვილით გამოხატულია ჩვენი ბედ-შაობა და გათახსირება? რა წარმოსადგენია ამა დღევანდელ გარყვნილ, ზნეობა დაცემულ და სალახანა „დათიკოებისათვის“ არ დაეპირდაპირებინა „დიმიტრი თავდადებული“ და მისი გმირული, რაინდული მოქმედება სამაგალითოდ არ დაესახა, „დედა და შვილის“ დედა დარეჯანების გვერდით არ დაენახვებინა? ყოველივე ეს კი სხვა გვარის, ჩვენი ლიტერატურისათვის არა ჩვეულებრივის გრძნობების აღმძვრელი იყო: დაღუპულ აწმყოს აზიზღებდა მკითხველს, წარსულში, როცა საქართველო თავის თავს ეკუთვნოდა, როცა უპეკუნო იყო და თვით განაგებდა თავის ბედ-იღბალს, ამ წარსულში სასოებისა და იმედის საფუძველს უპოვიდა და მომავალში იდეალებს უსახავდა. მართალია დღეს ჩვენში ყოველივე მცნება არეულია და სამშობლოს ხსენება „სალანძღავ სიტყვად გაუხდიათ“, რასაც ებრძოდა იმ თავითვე დიდებული მგოსანი; მართალია დღეს დიდებული სიტყვები: „მამულისთვის სიკვდილი მეტად დიდი რამ არი“ და „უკვდავ არის შვილი მამულისთვის მომკვდარი“ ბნედას ჰგვრის ხოლმე ნერვებ აშლილი ვაჟბატონებს, მაგრამ სამშობლოს სიყვარული წმინდა და დიდებული რამაა, როგორც გვასწავლიდა ჩვენი მოძღვარი. სიყვარული სამშობლოსი: დაცვა შენის ერის კაცობრიულ და ადამიანურ უფლებისა ყოველ გვარის შელახვისაგან—უმაღლესი მოვალეობაა, რომლის აღსრულება მით უფრო საგალდებულოა, რომ მხოლოდ იმ ქვეყნის და იმ მხარის ბედნიერებაა კერძო ადამიანის სრული გამაბედნიერებელი, საცა იგი შობილა და გაზრდილა. უმთავრესი სურვილი და მეცადინეობა სამშობლოს მოყვარულისა ის უნდა იყოს, რომ ის ქვეყანა, რომელშიაც ყოფნა არგუნა ბედმა, იყოს აღმასრულებელი კაცობრიობის უმაღლეს იდეალებისა, ხოლო უმაღლესი კეთილი, რომელიც კაცობრიობის ცხოვრების სალტოლველ საგნად დაუსახავს, ის არის, რომ ყოველი კაცი კურძოდ, ყოველი ერი საზოგადოდ, იყოს ყოველისფრით კმაყოფილი, როგორც ზნეობრივად, ისე გონებრივად და იყოს განთავისუფლებული ყოველგვარ მონობისა და მტარვალობისაგან. ამ დიდებულის აზრის მოციქული იყო მგოსანი. ქართველმა ერმა ამისთვის დასაჯა იგი. ვნახოთ ვის გაამართლებს კაცობრიობა—ამ აზრების მოძღვარს თუ მის ჯალათებს.

სამშობლოს უბედურება მწუხარებითა და სევდით ავსებდა მგოსნის სიცოცხლეს, მაგრამ მისი სევდა თავის დღეში სასოწარკვეთილებამდის არ მისულა, მისი მწუხარება უნუგეშობად არ ქცეულა, ცხოვრების უმზგავსოები შეგნებას მიზანტროპიად არ გადაქცევია. მისი პესსიმიზმი მხნე იყო და სასტიკი, მისთვის ამწყო და წარსული თუ სატირალი იყო იმ იდეალთან შედარებით, რომელიც დაესახა და რომლის მიღწევასაც სცდილობდა, ბრწყინვალე მომავალს სასოებითა და იმედით შეჰყურებდა. მისი სევდა და პესსიმიზმი გაიძახის:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
„ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი,
„ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

სევდით აღსავსე პოეტი ნიადაგ ნუგეშინისცემის ლექსებით ელაპარაკება ქვეყანასა და ერს: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენიაო“...

უმთავრესი ტემა, საგანი ილია ჭავჭავაძის პოეზიისა საზოგადოებრივ ხასიათისაა. იშვიათად მოიძებნება არა თუ ჩვენს ლიტერატურაში, ევროპიულშიაც კი მწერალი, რომელსაც მისებრ ცოტა ყურადღება მიექციოს პირად გრძნობათა გამოსახვისათვის. მან პირად გრძნობათა გამოსახვა განაძევა ლიტერატურიდან და ერის სულის დასურათებასა სცდილობდა, ერის ვაების ხმას გვაგონებდა. არ სატრფოს ლალატი, არამედ საზოგადო მწუხარება და კვნესა იწვევს მგოსნის სევდასა და ოხვრას, ერის უბედურება უწყლავს გულსა და უშხამავს სიცოცხლეს. ეს იმიტომ კი არა, რომ ილიას პირად გრძნობათა გამოსახვა არ ეხერხებოდა. არა მგოსანი პირადის, კერძო გრძნობის გამოხატვას არ კისრულობდა: არ გვამცნევდა თავის სევდას უიმედო სიყვარულისაგან გამწვეულს, ანა და სიყვარულით აღფრთოვანებული აღტაცებულს გიმნს არ მღეროდა, არ გვიჩვენებდა პირადს შიშსა და ჭმუნვარებას, სიხარულსა და გინდ გულგრილობის სიკვდილ-სიცოცხლის გამო. თუ სწუხს და სტარის, საზოგადო მწუხარება და უბედურება არის ამისი მიზეზი; თუ იცინის—მწარეა ეს სიცილი და დასცინის მხოლოდ საზოგადოების ღრმა ნაკლულევანებათა. მას არ იტაცებს გარეგან ფრინველისავით მღერა, რადგან „არა მარტო ტკბილ

---

**ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲚᲘ.** 25 ოქტომბერს მოსკოვში უნდა გადაეხადნათ 25 წლის მოდგაწეობის იუბილეი ცნობილ არტისტისა და დრამატურგის ა. ი. სუმბათაშვილისა, მაგრამ იუბილეი მომავალ იანვრისთვის გადაუდვიათ. იუბილეის დდეს სუმბათაშვილი მიიღებს ბენეფისს და ითამაშებს ოტელოს როლს, რომელიც მას მოსკოვში ჯერ არ შეუსრულებია. მოსკოვის „მცირე თეატრი“ დადის ამბით აპირებს თავის ბურჯის მოდგაწეობის აღნიშვნას. მის იუბილეის გადახდაში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის აუარებელი დაწესებულებანი და საზოგადოებანი.

წრეულს სუმბათაშვილი დეკლამაციის მასწავლებლად მიუწვევია მოსკოვის სასულიერო აკადემიას.

---

## სახელმწიფო საბჭო

**სახელმწიფო საბჭო და ქართველ თავად-აზნაურთა კანდიდატი.**

რუსეთის კაზეთები დაწერილებით გვატყობინებენ ჩვენის თავად-აზნაურობის კანდიდატის გაშვების ამბავს სახელმწიფო სა-

---

ძნელი როლი ბ-ნმა ბალანჩივაძემ სრულებით ვერ დასძლია, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც საუცხოვო იყო. არა ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ქ-მა ჯავახიშვილისამ დინდლას როლში. ადმსრულებელთა შორის ვერც ერთს ვერ დავასახელებ, რომ როლი წაეხდინოს და ამიტომ ცალცალკე დასახელება არტისტებისა მეტად მიმაჩნია.

ერთხელ კიდევ უნდა გავიმეორო ის აზრი, რომ ჩვენს არტისტებს შესძლებიათ უაბეკოთ და, ასე გასინჯეთ, უსუბსიდიოდ ქართულ წარმოდგენების მართვა, თუ, რასაკვირველია, თანხმობით იმუშავებენ. ეს გარემოება არ უნდა დაივიწყოს ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, რომელიც დღესაც ვერ განთავისუფლებულა იმ აზრისაგან, ვითომ თუ თვით საზოგადოებამ არა, ქართულ წარმოდგენების მართვა შეუძლებელია. დიდი შეცდომაა და ამის დამამტკიცებელი საბუთი ქუთაისის დრამაა. თუ არა სჯერათ, მობძანდნენ და თვით დარწმუნდნენ.

კვლავ მივაქცევ მოსწავლეთა ყურადღებას ზოგიერთ მათგანის არა სასურველ საქციელს: კვირას მთელი მიწერ-მოწერა გაიმართა მოსწავლე ქალთა და ვაჟთა შორის; წერილებს ზევიდან ქვევით ისროდნენ და ქვევიდანაც აწოდებდნენ. გარდა ამისა, ქანდარაზე იჭამდის გაკადნიერდნენ, რომ იქიდან ლოჟებში იფურთხებოდნენ, ამაზე შორს კადნიერება ვეღარ წავა მგონი...

---

**ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲚᲘ.** 25 ოქტომბერს მოსკოვში უნდა გადაეხადნათ 25 წლის მოდგაწეობის იუბილეი ცნობილ არტისტისა და დრამატურგის ა. ი. სუმბათაშვილისა, მაგრამ იუბილეი მომავალ იანვრისთვის გადაუდვიათ. იუბილეის დდეს სუმბათაშვილი მიიღებს ბენეფისს და ითამაშებს ოტელოს როლს, რომელიც მას მოსკოვში ჯერ არ შეუსრულებია. მოსკოვის „მცირე თეატრი“ დადის ამბით აპირებს თავის ბურჯის მოდგაწეობის აღნიშვნას. მის იუბილეის გადახდაში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის აუარებელი დაწესებულებანი და საზოგადოებანი.

წრეულს სუმბათაშვილი დეკლამაციის მასწავლებლად მიუწვევია მოსკოვის სასულიერო აკადემიას.

---

## სახელმწიფო საბჭო

**სახელმწიფო საბჭო და ქართველ თავად-აზნაურთა კანდიდატი.**

რუსეთის კაზეთები დაწერილებით გვატყობინებენ ჩვენის თავად-აზნაურობის კანდიდატის გაშვების ამბავს სახელმწიფო სა-

---

ბჭოში. როგორც ვიცით, 25 ოქტომბერს პეტერბურგში რუსეთის თავად-აზნაურმომადგენლებს უნდა-ერჩიათ [illegible] სახელ. საბჭოში. [illegible] წერს ამ არჩევნებს:

„25 ოქტომბერს წინასწარ კრებაზე შეტაკება მოუვიდათ „ზუბრებსა (უკიდურეს მემარჯვენე თავად-აზნ.-ს) და ქართველ თავად აზნაურთა წარმომადგენლებს, რომელნიც თხოულობდნენ, რომ იდეა ჭავჭავაძის მაგივრად ისევ ქართველი უნდა იქმნეს არჩეულნი. „პირველ არჩევნების დროს—ამბობდნენ ქართველები—ჩვენ უფლება მოგვეცა ჩვენ თვითონვე დაგვესახელებინა ერთი კაცი. ქართველებმა აირჩიეს კანსვენებული ჭავჭავაძე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თავად-აზნაურობა დღევანდლამდე პატივსა სცემდა ჩვენს ტრადიციებს და დღესაც ანგარიშს გაუწევს ამ ტრადიციებსაო“. მემარჯვენე თავ.-აზნაურებმა დორერისა და მარკოვის მეთაურობით ტრადიციებს თავი დანებეს და საკითხი პოლიტიკურ ნიადაგზე გადაიტანეს. მარკოვმა განაცხადა: „ჯერ ამოდენა მოტეეებს რუსეთისა. ჩვენ გულკეთილობა გამოვიჩინეთ და ქართველ თავ.-აზნაურებს ერთი ადგილი დავუთმეთ. მერე რა ნაყოფი გამოიღო ჩვენმა გულკეთილობამ? ქართველებმა აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, რომელმაც სახელმწიფო საბჭოში მარცხენა ადგილი დაიჭირა და... სიკვდილით დასჯის გაუქმება მოითხოვა“.

მარკოვის შემდეგ ჭავჭავაძისა, კვგასიისა და საქართველოს შესახებ ილაპარაკეს გრუბენსკიმ, კარბოვმა და სხვებმა. ყველამ ჩამოთვალა საქართველოს „ცოდვები“. ბოლოს ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენლების მოსთხოვეს, კაკვაკებინეთ თქვენი მიმართულება და პროგრამა, რა აზრისა ხართ შესახებ თვითმმართველობისა, მიწების იძულებით გამოსყიდვისა, კანაპირა ქვეყნების ავტონომიისა და სხვ.

ამ კითხვაზე პასუხი კასტა თავ. დ. მელიქიშვილმა, რომელიც ქართველების მხრით კანდიდატად იყო დასახელებული საბჭოში. მელიქიშვილმა მიიოთა მეფის კარის მუნ. დირზე და სთქვა, რომ ეს მუნდირი ეოველგვარ იეზვისაკენ მიფარავსო. მელიქიშვილის სიტყვა მოეწონა მემარჯვენეებს. ამის შემდეგ კრებამ ბარათებით დასახელა კანდიდატები. მელიქიშვილი ხმის უმრავლესობით იქმნა დასახელებული, მაგრამ გულოვანი-თან და იმათთან ერთად, რომელთაც ხმის უმრავლესობა მიიღეს, უარი სთქვა კენჭის

---

ცხოვრების უმზგავსოები შეგნებას მიზანტროპიად არ გადაქცევია. მისი პესსიმიზმი მხნე იყო და სასტიკი, მისთვის ამწყო და წარსული თუ სატირალი იყო იმ იდეალთან შედარებით, რომელიც დაესახა და რომლის მიღწევასაც სცდილობდა, ბრწყინვალე მომავალს სასოებითა და იმედით შეჰყურებდა. მისი სევდა და პესსიმიზმი გაიძახის:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
„ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი,
„ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

სევდით აღსავსე პოეტი ნიადაგ ნუგეშინისცემის ლექსებით ელაპარაკება ქვეყანასა და ერს: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენიაო“...

უმთავრესი ტემა, საგანი ილია ჭავჭავაძის პოეზიისა საზოგადოებრივ ხასიათისაა. იშვიათად მოიძებნება არა თუ ჩვენს ლიტერატურაში, ევროპიულშიაც კი მწერალი, რომელსაც მისებრ ცოტა ყურადღება მიექციოს პირად გრძნობათა გამოსახვისათვის. მან პირად გრძნობათა გამოსახვა განაძევა ლიტერატურიდან და ერის სულის დასურათებასა სცდილობდა, ერის ვაების ხმას გვაგონებდა. არ სატრფოს ლალატი, არამედ საზოგადო მწუხარება და კვნესა იწვევს მგოსნის სევდასა და ოხვრას, ერის უბედურება უწყლავს გულსა და უშხამავს სიცოცხლეს. ეს იმიტომ კი არა, რომ ილიას პირად გრძნობათა გამოსახვა არ ეხერხებოდა. არა მგოსანი პირადის, კერძო გრძნობის გამოხატვას არ კისრულობდა: არ გვამცნევდა თავის სევდას უიმედო სიყვარულისაგან გამწვეულს, ანა და სიყვარულით აღფრთოვანებული აღტაცებულს გიმნს არ მღეროდა, არ გვიჩვენებდა პირადს შიშსა და ჭმუნვარებას, სიხარულსა და გინდ გულგრილობის სიკვდილ-სიცოცხლის გამო. თუ სწუხს და სტარის, საზოგადო მწუხარება და უბედურება არის ამისი მიზეზი; თუ იცინის—მწარეა ეს სიცილი და დასცინის მხოლოდ საზოგადოების ღრმა ნაკლულევანებათა. მას არ იტაცებს გარეგან ფრინველისავით მღერა, რადგან „არა მარტო ტკბილ

ერაზე, როგორც ამას მოითხოვდა ჩვეულება. კრება მეორე დღისათვის გადასდეს.

მედიქიშვილის წინააღმდეგ აგიტაცია დაიწყო. რიგა ხედ-მეორედ დასასჯელს ბარათებით კანდიდატები, მედიქიშვილს არც ერთი ხმა არ ამოუვიდა. ამის შემდეგ მედიქიშვილმა, რასაკვირველია, უუთის დადგმა ვერ გაბედა".

# რუსეთი

✦ **სახელ. სათათბირო.** სახელმწიფო მოღალატის შმიდტის არჩევამ დიდი აყალმაყალი გამოიწვია ოქტომბრისტებს შორისაც. ზოგიერთა დეპუტატებმა ოქტომბრისტებმა შეატყობინეს შმიდტს, ან თავი გაიმართლე, ან ფრაქციიდან გადითო. დეპუტატების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მოღალატეს დეპუტატობა არ შეუძლიან, ამიტომ მოსალოდნელია, რომ შმიდტს არ დაამტკიცებენ.

კადეტები და ოქტომბრისტები მორიგებულან. ოქტომბრისტების ბელადს გუჩკოვს სტოლიპინი უნახავს და დიდ ხანს ულაპარაკია მასთან. სტოლიპინს უთქვამს, თუ ისეთ ცენტრს შეადგენთ, რომელიც მთავრობას დაეხმარებაო, რუსეთი მალე დამშვიდდება და სამხედრო წესებსაც მალე გავაუქმებთო. აძბობენ, სტოლიპინს ძილიუკოვის ნახვაც მოუსურვებიაო. სტოლიპინისა და თვითონ სათათბიროს ბედ-იღბალი დამოკიდებულია ამ ცენტრზე.

შრომის ჯგუფის ფრაქციაში ამ ჟამად 17 დეპუტატია. ამ ფრაქციას სურდა საზოგადოდ მემარცხენეთა ჯგუფი დაეარსებინა სათათბიროში, მაგრამ სოც.-დემოკრატებს უარი უთქვამთ. ორივე პარტია საკუთარ ფრაქციას დაარსებს.

კადეტების კრება გათავებულა. კრებას მოუწონია და მიუღია მილიუკოვის მოხსენება შესახებ ტაქტიკისა სათათბიროში. მოხსენების თავარი აზრი ის არის, რომ კადეტებმა ხელი უნდა შეუწყონ და მოითხოვონ კონსტიტუციის განხორციელება.

✦ **ცენტრ. კომიტეტი კადეტთა პარტიისა.** ჰელსინგფორსის კრებაზე შემდეგი პირები აირჩიეს ცენტრალურ კომიტეტში: პეტრუნკევიჩი, მახოვსკოი, ხატათვის გამოგზავნა ქვეყანად ცამა"; ზეგარდმო დასახულ მოვალეობად აღიარა „ერის წინამძღვრობა" „ქმუნვასა და სიხარულში ერის მოძმედ ყოფნა" „ცისაგან დანიბნულს და ერისაგან აღზუდილს პოეტს" დანაშაულად მიაჩნდა პირადის აღტაცებითა და სევდით ვისთვიმე თავი მოებეზრებინა. მას მხოლოდ „ერის წყლული მიაჩნია წყლულად, მისი ტანჯვით ეწვის სული, მისი ბედითა და უბედობით ედაგვის მტკიცე გული". არ უნდა იმას ბევრი ლაპარაკი, რომ შემქმნელის „აღარც ნატვრა და აღარც იმედია" მას შეეძლო თავისი ლირის პირადის კვნესისა და ოხვრის გამომთქმელი სიმები აეღერებინა, მაგრამ როგორც კი მისი ხელი აიწეოდა, რომ ჩონგურზედ პირადის გრძნობით გამომხატველი ხმები დაეკრა, საერო კვნესის ხმა, ხელს სიმთან მიტანილს ქვად აქცევდა და პოეტს მხოლოდ თავისავე გულში ჩააკვლევინებდა მეტად ბუნებრივს სურვილს.

თვით სიყვარულიც კი—ეს ყველ გრძნობაზედ უფრო კერძო და პირადი, ჩვენმა პოეტმა განაზოგადა, პირადისაგან უპირადო, საზოგადო გრძნობად გარდაჰქმნა: მას სიყვარული სულერთიან უსულო საგანზედ გადააქვს—სატრფო მისთვის მამულია და ამ საგანს ისე ეპყრობა და ეალერსება, ისეთის ენით ელაპარაკება, თითქო მართლაც ნამდვილი მტანჯავი სატრფო იყოსო. აბა შეჰხედეთ, რანაირის ენით ელაპარაკება თავისს ქვეყანას, „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენიაო?" ისეთი გულუბრყვილო, ისეთი წრფელი, გულ ახდილი და გულ ამოსკვნილი ბაასია, რომ გაკვირვებთ, რატომ „საყვარელი" არ ჩასწერა „ქვეყნის" მაგიერად; განა შეიძლება ასეთის ნამდვილი გატაცებით, ასეთის სევდიანისა და იმედისა და ნუგეშის მომცემის ენით კაცმა თავისს სატრფოზე მიტს ვისმე მიჰმართოს?

**გიორგი ბაბაშიძე.**

(დასასრული იქნება)

მურომცევი, ნაბოკოვი, როდიჩევი, ვინაგერი, პეტრე და პავლე დოლგორუკოვები, კაშკინი, კოკოშკინი, ტესლენკო, კოლუბიაკინი, კორნილოვი, კუტლერი, კიზეველტერი, მილიუკოვი, ჩერნენკოვი, სვეჩინი, გოლოვინი, მაკლაკოვი, ლედნიცკი, ვერნადსკი, პეტრაჟიცკი, კოტლიარევსკი, სტრუვე, იზგოევი, კამინკა და სხ.

✦ **ფრედერიქსის გაქცევა.** ნიჟეგოროდის გუბერნატორად ნამყოფი ფრედერიქსი, რომელსაც ბრალდებოდა ლიდვალისაგან ქრთამის აღება, საზღვარ-გარედ გაქცეულა და რუსეთში დაბრუნებას აღარ აპირებს.

✦ **მომავალი კრება პოლ. სოციალისტურ პარტიისა.** ამ ახლო ხანს საზღვარ-გარეთ მოხდება მეათე კრება პოლ. სოციალისტურ პარტიისა. შარშან ამ პარტიას ჩამოეცალა მებრძოლი რაზმი, რომელმაც ცალკე პარტია დააარსა. მაგრამ პოლ. სოც. პარტიაში განხეთქილება მაინც არ მოსპობილა. ერთი ნაწილი პარტიისა და ცენტრალური კომიტეტი თხოლობენ, რომ მებრძოლი რაზმი სრულიად გაუქმდეს, ვინაიდან „სოციალისტურ პარტიას ძალიცია არ უნდა ჰყავდესო". ასეთი რეზოლიუცია უკვე შეუძლიანთ და თუ კრებამ მიიღო იგი, ეს პარტია სამუდამოდ უარს იტყვის წინანდელ ტაქტიკაზე. რეზოლიუციებიდან სჩანს, რომ პარტიას გადაუწყვეტია დიდი ყურადღება მიაქციოს კულტურულ მუშაობას და პროფესიონალურ ძოძრაობას. რეზოლიუცია თხოულობს, რომ მუშებმა დაარსონ განმანათლებელი წრეები, სკოლებია, სამკითხველოები და იარონ სახალხო უნივერსიტეტში, არ მოერიდნენ პურჟუაზიულ კულტურულ დაწესებულებას, მუშავონ იქ, თუ მათ პარტიული ელფერი არა აქვთო.

✦ **სოც. დემოკრატია და ბურჟუაზიული პრესა.** რუს. სოც. დემ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი შესახებ იმასა, აქვთ თუ არა სოც. დემოკრატებს უფლება ითანამშრომლონ ბურჟუაზიულ პრესაშიო. „ბოლშევიკებმა" გადაჭრით მოითხოვეს, რომ სოც. დემ. პარტიულ წევრს აეკრძალოს წერა ბურჟუაზიულ გაზეთებში. „მენშევიკები" ამის წინააღმდეგი იყვნენ და ამბობდნენ, სოც. დემოკრატს არ შეუძლიან ბურჟუაზიულ გაზეთის სარედაქციო წევრი იყოს, წერის უფლება კი უნდა ჰქონდესო. არც ერთმა რეზოლიუციამ საჭირო უმრავლესობა არ მიიღო, ამიტომ საკითხის გადაწყვეტა მიენდო კონფერენციას.

## ლია წერილის პასუხი

ბ-ნ გ. სალარიძეს.

„ბაქოელების სახელით" ჩვენ კომისიას არავითარი ფული არ მიუღია გადამწყვარ გუნდთა სასარგებლოდ. მხოლოდ 1906 წ. ოქტომბერში მე მივიღე ბაქოდან ორი წერილი სხვა და სხვა კაცისაგან. მწერლნენ ამბანაგების მონდობილებით, რომ ბაქოში წარმოდგენით და ისე სულ შეგროვდა 1445 მ. 89 კ., ამ ფულიდან 445 მან. ადგილობრივ ორგანიზაციამ დახარჯა, ხოდო 1000 მ. ბ. რამიშვილს გაზ. „სხივის" რედაქციაში გაგზავნია დაზარალებულთა გასასტუმრად და მიიღეთ თქვენ თუ არა. მე იმათაც ვუპასუხე მაშინ და თქვენც გიპასუხებთ, აგრეთვე, ჩვენს ანგარიშებშიაც დაიბეჭდა, რომ „სხივის" რედაქციიდან ჩვენ მივიღეთ 1000 მან., ის კი არ ვიცი ეს 1000 მ. ბაქოში იყო შეგროვილი თუ სხვაგან. ჩვენთვის ამის შესახებ რედაქციას არავითარი ცნობა არ მოუტია. ჩემის აზრით, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს და-საქმის გამოარკვევა უნდა, თითონ „სხივის" რედაქციას უნდა მიმართოს.

**ნინო ნაგაშიძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ

—:—

თქვენ გაზეთის № 240 ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია ზემო ქართლიდან, რომელიც, სხვათა შორის, მე მეხება. ავტორის აზრით მე ძლიერ სასიამოვნოდ მაქვს ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც ამ ჟამად ზემო-ქართლელი გლეხი განიცდის და ამის დამამტკიცებლად აი რა საბუთები მოჰყავს: 1. დღიური მიწა ვითომ მე ორდღიურად მქონდეს აწერილი; 2. ვითომ ჭინახულსაც მე ფულად დღეევანდელ მაზანდაზე ვიღებდე (7 მ. კოდზე); 3. ეს შეეხება კოდის და ფლევის გლეხებს, რომელთაც, თურმე ნუ იტყვით, მე გომის სადგურზედ სირბილით საქმეს უპირებდე.

ს. კოდა*) სადაც ხიზნები დკანან, მე წრეულს ჩემს შვილს გადავეცი, რომელმაც გლეხებთან საქმე გაათავა სწორედ იმ შუამავალ მომრიგებელთან, რომელსაც გაზეთი იხსენიებს, როგორც გლეხთა მომხრეს. ამ უკანასკნელის განაჩენიდანა სჩანს, თუ რა პირობებით გადაწყვეტილა ღალების საქმე წრეულობით კოდელებთან: პური ორი კოდისა და ორ ჩანახ მაგიერად დღიურზედ 1½-ზედ გაუთავებია ჩემს შვილს და ესეც ფულად დაუვალებია 7 მანეთობაზედ კი არა, კოდი მხოლოდ 3 მ. ქერი სრულიად უპატივებია და ბუზით და სხვა და სხვა გადასახდ ... სამსახური სრულიად მოუსპია. არასოდეს კოდელები არც ჩემის, არც ჩემის შვილის ხრით გომში დაბარებულნი არა ყოფილან და ავლევმკი, სადაც იყოფება შუამავალ მომრიგებლის „კანცელიარია" არა ერთხელ ყოფილან საქმეზედ თვით მომრიგებელთან. ასე და ამ გვარად არიან დატანჯულნი ჩემგნით ს. კოდის გლეხები.

ფლეველებს კი, რომლებიც, როგორც არენდატორები, შუამავალ მომრიგებელს არ შეეხებიან, მე თვითონ გაუთავე საქმე და, თუ ვისმე წრევანდელ მახანდაზედ გადავახდევინე, ესეც იმ ჩემი ბარათებიდან ადმოჩნდება, რომელიც გლეხებს უჭირავთ. ამ ბარათებიდან ნათლადა სჩანს, თუ რა ეპატივ ... თ, და რა შედეგი მიეცათ გლეხებს ჩემის მხრით წრეულობით. ფლეველებთან მოლაპარაკება სწორედ ს. გომში მქონდა, რადგანაც ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ახლო გახლავთ, ვიდრე ს. აბისი, სადაც მე მუდამ მიცხოვრია. სხვა სათქმელი არა მაქვს რა ჩემის მხრით და რაც შეეხება სხვებს, იმათ თავიანთ საქმე თვითონ იციან.*)

**თ. როსიკო ამირეჯიბი.**

*) სოფელი კოდა, რომელზედაც აქ თ. რ. ამირეჯიბი სწერს, ის სოფელი კოდა არ არის, რომელიც მხედველობაში ჰქონდა ჩვენს კორესპონდენტს. კორესპონდენციაში მოხსენებული კოდა არის პატარა კოდა, თავად რ. ამირეჯიბს კი მატარა კოდაში მიწები არა აქვს და ამიტომ არც არავითარი ურთი-ერთობა ექნება ღალის თაობაზე ამ სოფლის გლეხებთან.

**რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.

# გამოსადეგი ცნობანი

### მატარებლების მიმოსვლა

**(15 ოქტომბრიდან)**

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრო № 7 დილის 10 საათზე (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 8 ს. 17 წ. (9 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო № 5 საღამოს 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სწრაფი № 8 საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 8 ს. 43 წ. (9 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 55 წ. (7 ს. 53 წ.)

**ყარს-ერევნისაკენ:** 1) საფოსტო ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბათუმიდან:** 1) სამგზავრო № 8 საღამოს 11 ს. (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 51 წ. (8 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 25 წ. (7 ს. 23 წ.).

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 7 დილის 9 ს. 28 წ.; (10 ს. 26 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 7 ს. 26 წ. (8 ს. 24 წ.); 3) სამგზავრო, № 5 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, ნაშუადამევის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.).


# განცხადებანი

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შნიცლერის თხზულება

## ფერიჯული

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ციცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთი"-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი"-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებ-დან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვ ნ ც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—ნ.—8)

# ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡ

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი.** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აკეფიზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გაბელიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—154)

## მასწავლებელთა საყურადღებოდ!

**ძარული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.

ამ დედანთან სახარებელი

**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

**„არითმეთიკული კრებული"**

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.

„მეორე ნაწ. კრებულისა" (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—15)

**გ ა მ ო ვ ი დ ა**

ახალი სრულიად შესწორებული და შემუშავებული

## ქართული წერის დედანი

**და**

**სახატაო ნიმუშები**

**ს. დათუშიძისა.**

იყიდება ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში და ქუთაისში ვ. ბუკანეიშვილის მაღაზიაში. ფასი 20 კაპ. ვინც აგტორისაგან გამოიწერს არა ნაკლებ 20 ცალისა, მას დაეთმობა 10%.

ადრესი: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სამსონ დათუშიძეს. (10—3—2)

**გარემოების გამო ჯერ**

**საგანგებოდ მოწყობილ ქართულ**

## გიგლიოთეკას

რომელიც შეიცავს 20 წლის განმავლობაში გამოცემულ ყოველ-გვარ ქართულ წიგნების თითო ეგზემპლიარს. წიგნები დავარაყებულ ყდებით არის დანუმრული, და შვიდ კატალოგზე შედგენილი და დაყოფილი: I. საღვთო მწერლობა; II. მეცნიერებითი; III. ისტორია-გეოგრაფია და მოგზაურობა; IV. კაზმული სიტყვიერება: მოთხრობები და პოეტური ნაწარმოებნი. ცალკ-ცალკე; V. დრამატიული თხზულებანი; VI. საყმაწვილო და VII სამეცნიერო: ფიზიკა, ჰიგიენა, მედიცინა, ტექნიკა და სამეურნეო და საპოლიტიკო წიგნები. ამასთანავე 1904—1905 და 1906 წლების „ცნობის ფურცელი" და „მეგობარი" ყდებით და სურათებიან დამატებით. სრულის წლის „ივერია" ყოველდღიური და ყოველკვირეული და აგრეთვე ყდებით: „მუშა", „ხმა", „სიტყვა", „ნობათი", „გლეხი" და „იხალი დროება". ყველა წიგნები და გაზეთები თავის დაჩუქურთმებულ ახალ ძვირფას შკაფით ეღირება მხოლოდ 200 მანეთად. მისამართი: Станція Михайлово. Г. Чархишвили.

(8—400—2)

# ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲣᲡᲢᲔᲑᲘᲡ

## „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ეცა თუ ის სენი გეტირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არია „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას ან შეიძლება ძვიდიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არამ ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ენერგიაა,** იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტება. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბოძოლიას როგორც სენთან, ისე ყველაფრის გამანადგურებელ დრო-ყამთან. **«სპერმატინი"** შედგება **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ ალმანიკისა. ჰშვლის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დადლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარა, სიფილისს, სურავანდა, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარეს, ქრონიკულ მუცლის შეკრას და სხვას. ეს საშულება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი ს ... ნაკლულევანებით, უკანასკნელ წელიწადს ... ერ დავსუ ... ტდი და შევიქენი ... ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძალა და ენერგია. დამიწყო ფეხებიან და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვეებულოდი სხვა და სხვა წამლებს, აგმოწერილი ... სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიაოა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი" ბატონ ახობაძესთან, წაომიმადგენელს მოსკოვის ლაბორატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემუბუქება. ამის შემდეგ განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობის გან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი" მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ რომ გადაარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს,** ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **ვ. ზნაცაკანოვისა,** ტფ ლისი, 22 აგვისტო.

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** ტფილისში, მოსკოვის ქუჩა, №4. მოწ. ხელმწ. ბ. გ. ახობაძე, წაავიკითხე თქვენი გაცხადება გაზეთ „ჩვენ გზაში", რომ თქვენ კანტორაში იყიდება „სპერმატინი" ლაბორატორიის ივანოვისა, რომელიც არჩენს სხვა და სხვა ავადმყოფობას. ჩვენი ავადმყოფობა შემდეგი იყო: ორი წელიწადი ავად ვიყავ ... ერვების ... ლობით, გულის ფრიალით, სისუსტითა და მომდიოდა ხშირად გულის წუხილი. ნამეტანი რეკმატიზმებით, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა. როდესაც მივიღე ოთხი ფლაკონი თქვენი „სპერმატინ", სულ გავთავისუფლდი მოხსენებულს სატკივრებისაგან და ... ამ თქვენ წამლი. მიღებამდე ვიხმარე ბევრი წამლები, გამოწერილი ექიმებისაგან, მაგრამ არა მიშველა რა. კიდევ დიდს მადლობას გწირავთ, ბ. ი. ახობაძეს, და ვიქნები მუდმივ თქვენი მლოცველი ჩემის შვილისათვისა.

ადრესი ჩემი ქუთაისის გუბ. და ... ... ... სოფ. ვანი, **ივანე ბალანჩივაძე.**

ნოწ. ხ. **ბ. ი. ახობაძეს.** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენ მიერ გადმოცემულ „სპერმატინისათვის", ლაბორატორიი. ... ... ივანოვის. 2 წელიწედ მეტ ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე ხელების კანკალით. როცა მივიღე მარკოზ კვარ-ნცხელიაისაგან ერთი ფლაკონი, უკვდ გავხდი. მერე ვიხმარე მეორე და მესამეც. ეხლა, ერთის სიტყვით, ულ განვ-ხლდ... ყველა ამისთვის გულწრფელ-ად გმ ... ლობთ და ღმერთს ... ... ...